ავტომობილის ტრანსმისია



ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაყოფა კატეგორიებად განსაზღვრულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის შიგა ტრანსპორტის კომიტეტის მიერ მიღებული „სატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციის შესახებ შემაჯამებელი რეზოლუციის“ (დოკუმენტი TRANS/WP-29/78/Rev.1/Amend/2, მიღების თარიღი 13.08.97) შესაბამისად

იგი მოცემულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №37 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტში „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების პერიოდულობა“

სებმენტი 1. ავტოსატრანსპორტო საშუალებები და მათი დეტალები

1.11 ავტოსატრანსპორტო საშუალებების კატეგორიების მარეგულირებელი წესები

ავტოსატრანსპორტო საშუალების კატეგორია	ავტოსატრანსპორტო საშუალების სრული (ნებადართული მაქსიმალური) მასა ტ.	ავტოსატრანსპორტო საშუალების დანიშნულება
M₁	–	არაუმეტეს 8 დასაჯდომი ადგილის (მძღოლის ადგილის გარდა) მქონე მგზავრთა გადასაცვანად განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება
M₂	5-მდე	8-ზე მეტი დასაჯდომი ადგილის (მძღოლის ადგილის გარდა) მქონე მგზავრთა გადასაცვანად განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება
M₃	5-ზე მეტი	---

ავტოსატრანსპორტო საშუალების კატეგორია	ავტოსატრანსპორტო საშუალების სრული (ნებადართული მაქსიმალური) მასა ტ.	ავტოსატრანსპორტო საშუალების დანიშნულება
N₁	3,5-მდე	ტვირთის გადასაზიდი ავტოსატრანსპორტო საშუალება
N₂	3,5-ზე მეტი 12,0-მდე	---
N₃	12,0-ზე მეტი	---

ავტოსატრანსპორტო საშუალების კატეგორია	ავტოსატრანსპორტო საშუალების სრული (ნებადართული მაქსიმალური) მასა ტ.	ავტოსატრანსპორტო საშუალების დანიშნულება
O₁	0,75-მდე	მისაბმელები – ავტოსატრანსპორტო საშუალებით ბუქსირებადი
O₂	0,75-ზე მეტი 3,5-მდე	მისაბმელები და ნახევარმისაბმელები – ავტოსატრანსპორტო საშუალებით ბუქსირებადი
O₃	3,5-დან 10-მდე	---
O₄	10-ზე მეტი	---

სეგმენტი 1. ავტოსატრანსპორტო საშუალებები და მათი დეტალები

საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებებები კონსტრუქციების მარეგლამენტებელი ნორმატიული აქტებია:

1. 1958 წლის 20 მარტის შეთანხმება: თვლიანი სატრანსპორტო საშუალებებისათვის და იმ მოწყობილობების და ნაწილების საგნებისათვის, რომლებიც შესაძლებელია დაყენდეს ან/და გამოყენებულ იქნეს თვლიან სატრანსპორტო საშუალებებზე, ერთგვაროვანი ტექნიკური მიწერილობების მიღების და ამ მიწერილობების საფუძველზე გაცემული ოფიციალური დამტკიცების ურთიერთალიარების პირობების შესახებ", რომელსაც მიუერთდა საქართველო 2015 წლის 10 მარტს.

2. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №36 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გადაკეთების წესები“

3. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №11 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „მოთხოვნები ინდივიდუალური წესით დამზადებული (თვითნაკეთი) ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ“

1958 წლის 20 მარტის შეთანხმების შესაბამისად ტიპის დამტკიცებისათვის საქართველოს მიენიჭა ნომერი:



ავტოსატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციები და მასთან დაკავშირებული საკითხები ამ შეთანხმების შესაბამისად რეგლამენტირდება გაეროს წესებით და ევროდირექტივებით

დაწვრილებითი ინფორმაცია აღნიშნულისშესახებ შეგიძლიათ იხილოთ:
<http://www.unece.org/trans/main/wp29/wp29reqs.html>

ავტოსატრანსპორტო საშუალების გარე სანათი ხელსაწყოები

1. მოხვევის მაჩვენებლები
2. ახლო ხედვის ფარები
3. გაბარიტული შუქები
4. ნისლსაწინააღდეგო ფარები
- 5 შორი განათების ფარები



ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს აღჭურვილი გარე მაშუქი და მანათობელი სიგნალიზაციის ხელსაწყოებით EEC №48 წესების („სატრანსპორტო საშუალებების ოფიციალურ დამტკიცებასთან დაკავშირებული ერთგვაროვანი მითითებები მაშუქი და მანათობელი სიგნალიზაციის ხელსაწყოების მიმართ“) შესაბამისად

სემენტი 1. ავტოსატრანსპორტო საშუალებები და მათი დეტალები

ავტოსატრანსპორტო საშუალებების და მისი კონსტრუქციის შესახებ ნორმატიული დოკუმენტები



დოკუმენტების ჩამონათვალი


ხმაურის დონე	70/157 / EEC	სადგომი ნათურები	77/540 / EEC
გამონაბოლქვი	70/220/EEC	ღვედ და თავის მის	77/541 / EEC
საწვავის ავზები	70/221 / EEC	წინა ხილვადობა	77/649 / EEC
უკანა სანომრე ნიშან	70/222 / EEC	საიდენტ კონტრ	78/316 / EEC
საჭე	70/311 / EEC	ყინვის საწინააღმდე	78/317 / EEC
კარის საკეტები	70/387 / EEC	მანამწმენდები	78/318 / EEC
ხმოვანი სიგნალები	70/388 / EEC	გათბობის სისტემები	2001/56 / EC
უკანა ხილვადობა	71/127 / EEC	თვლებ დადვ სისტ	78/549 / EEC
მუხრუჭები	71/320/EEC	თავის მისაყუდებლ	78/932 / EEC
რადიო ჩამხშობი	72/245 / EEC	ემისია და საწვ ხარ	80/1268 / EEC
დიზელის კვამლი	72/306/EEC	ბრავის სიმძლავრე	80/1269 / EEC
შიგა მოწყობილობები	74/60 / EEC	დიზელის ემისია	88/77 / EEC
იმობილაიზირი	74/61/EEC	გვერდ დამე მოწყობ	89/297 / EEC
საჭის გამამდიერებელი	74/297/EEC	შეფრქვევის სისტ	91/226 / EEC
სავარძელი	74/408/EEC	ავტომ მასა და ზომ	92/21 / EEC
გარე მოწყობილობები	74/483/EEC	მინების უსაფრთხ.	92/22 / EEC
სპიდომეტრი	75/443/EEC	საბურავები	92/23 / EEC
საყრდენები	76/114/EEC	სიჩქარის ლიმიტები	92/24 / EEC
უსაფ ქამრ დამარ	76/115/EEC	ზომები და მასები	97/27 / EC
განათებ და სიგნ მოწყ	76/756/EEC	კაბინის გარე მოწყ	92/114 / EEC
ამრეკლავი მოწყ	76/757/EEC	გადაბმულობა	94/20 / EC
გამაფრთ და სტოპ სიგ	76/758/EEC	სახანძრო უსაფრთხ	95/28 / EC
მოხვევ მარჯვენ	76/759/EEC	ავტომ-უსები	2001/85 / EC
უკანა სანომრ ნიშ განათ	76/760/EEC	ფრონტალ შეჯახება	96/79 / EC
ფარები	76/761 / EEC	გვერდითი შეჯახება	96/27 / EC
წინ სანისლე ფარები	76/762 / EEC	ასს-ები სახიფ ტვირ	98/91 / EC
კაკვები	77/389 / EEC	წინა დამცავი სისტემ	2000/40 / EC
უკანა სანისლე ფარები	77/538 / EEC	ფეხით მოსიარულეთა დაცვა	2003/102 / EC
უკანა ფარები	77/539/EEC		

სეგმენტი 1. ავტოსატრანსპორტო საშუალებები და მათი დეტალები

ავტომობილის სანომრე ნიშნები




მისაზმელის სანომრე ნიშნები




I

სემინტი 2. ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაბარიტების და წონის (მასის) მარეგულირებელ წესები

2.1 ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაბარიტების და წონები ნორმატივები საქართველოში
 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებები
 ავტოსატრანსპორტო საშუალებების მაქსიმალურად დასაშვები გაბარიტები და მაქსიმალურად დასაშვები წონები
 ნორმატივები საქართველოსათვის:
 იგი მოცემულია საქართველოს კანონში „საგზაო მოძრაობის შესახებ“

	<p>სიგრძე: 12 მ სიგანე: 2,55 მ (2,60 რეფრიჟერატორებისათვის) სიმაღლე: 4,0 მ (4,30 ავტომობილებისათვის) სრული მასა: 43 32 ტ დატვირთვა: ამჟომ ღერძზე 10 ტ ერთ წამყვან ღერძზე 11,5 ტ</p>
---	--



ავტოსატრანსპორტო საშუალებების მაქსიმალურად დასაშვები გაბარიტები და მაქსიმალურად დასაშვები წონები ევროკავშირის ქვეყნებში რეგულირდება

ევროპარლამენტისა და საბჭოს 1996 წლის 25 ივლისის 96/53/EC დირექტივით:

„ევროპული გაერთიანების ფარგლებში მოძრავი გარკვეული ტიპის სატრანსპორტო საშუალებებისთვის ეროვნული და საერთაშორისო გადაზიდვების დროს მაქსიმალურად დასაშვები გაბარიტების და საერთაშორისო გადაზიდვების დროს მაქსიმალურად დასაშვები წონის განსაზღვრის შესახებ“

მაქსიმალურად დასაშვები გაბარიტები 96/53/EC დირექტივის შესაბამისად


მაქსიმალური სიგრძე:	
- ავტოსატრანსპორტო საშუალება, ავტობუსის გარდა 12,00 მეტრი	12,00 მ
- მისაბმელი	12,00 მ
- შესახსრებული სატრანსპორტო საშუალება	16,50 მ
- ავტომატარებელი	18,75 მ
- შესახსრებული ავტობუსი	18,75 მ
- ავტობუსი ორი ღერძით	13,50 მ
- ავტობუსი ორზე მეტი ღერძით	15,00 მ
- ავტობუსი + მისაბმელი	18,75 მ

მაქსიმალური სიგანე:	
ველს სატრანსპორტო საშუალება	2,55 მ
ავტორეფრიერატორის ძარა	2,60 მ
მაქსიმალური სიმაღლე	
(მაქსიმალური სატრანსპორტო საშუალება)	4,00 მ


საქართველოში სატრანსპორტო საშუალების მაქსიმალური სიმაღლე ავტომობილის ან კონტეინერის გადაზიდვის შემთხვევაში შეადგენს 4,30 მ-ს

შესახსრებული ავტოსატრანსპორტო საშუალების:

- > საერთო სიგრძე - 16,50 მ
- > ნახევარმისაბმელის საერთო სიგრძე - 13,60 მ
- > სიმაღლე - 4,0 მ
- > სიგანე - 2,55 მ



სტანდარტული მოზრუნების წრე ავტომატარებლებისათვის შეადგენს 14,5 მ




მაქსიმალურად დასაშვები წონები (მასები) 96/53/EC დირექტივის შესაბამისად

ავტოსატრანსპორტო საშუალებების კარამეტრები	EC	GE
ავტოსატრანსპორტო საშუალებების სრული მასები, ტ		
ორღერძიანი მისაბმელი ან ორღერძიანი ავტომობილი	18	18
სამღერძიანი მისაბმელი	24	24
სამღერძიანი ავტომობილი	25 (26)	25 (26)
ორღერძიანი ავტომობილი ორღერძიანი მისაბმელი	40	36
ორღერძიანი ავტომობილი სამღერძიანი მისაბმელი	42	40
სამღერძიანი ავტომობილი სამღერძიანი ნახევარმისაბმელი	40	40
სამღერძიანი ავტომობილი სამღერძიანი ნახევარმისაბმელი, 40 ფუტისანი ISO კონტეინერით	44	44
ოთხღერძიანი ავტომობილი საშუალებები ორი წამყვანი ღერძით	32	32
ას-ს ღერძებზე დატვირთვები		
ცალკეული ღერძები	10	10
წამყვანი ღერძები	11,5	11,5

მაქსიმალურად დასაშვები დატვირთვები 96/53/EC დირექტივის შესაბამისად

დატვირთვის სქემები



დატვირთვა ხიდებზე დამოკიდებულია ურიკაში ხიდებს შორის მანძილზე (1,3 ან მეტი)

მაქსიმალურად დასაშვები დატვირთვები 96/53/EC დირექტივის შესაბამისად დატვირთვა ხიდებზე ურიკაში

ურიკაში ხიდებს შორის მანძილი	დატვირთვა ორღერძიან ამჟოლ ხიდებზე, ტ	დატვირთვა ორღერძიან წამყვან ხიდებზე, ტ
$d < 1,0$	11	11,5
1 - 1,3	16	16
1,3 - 1,8	18	
$d > 1,8$	20	18(19)

2.2 ავტოსატრანსპორტო საშუალებების მაქსიმალურად დასაშვები გაზარიტები ECMT-ს ქვეყნებში განისაზღვრება

ქვეყანა	სიმაღლე (მეტრი)	სიგანე (მეტრი)	სიგრძე (მეტრი)		
			Lorry or Trailer	Road Train	Articulated Vehicle
Albania	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Armenia	4 m	2.55 m	12 m	20 m	20 m
Austria	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Azerbaijan	4 m	2.55 m	12 m	20 m	
Belarus	4 m	2.55 m (3)	12 m	20 m	24 m
Belgium	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Bosnia-Herzegovina	4 m	2.55 m	12 m	18.75 m	16.50 m
Bulgaria	4 m	2.55 m	12 m	18.75 m	16.50 m
Croatia	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Czech Republic (4)	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Denmark	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Estonia	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Finland (1)	4.20 m	2.60 m (6)	12 m	25.25 m	16.50 m
France	not defined	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
FYROM	4.10 m	2.60 m	12 m	18.75 m	16.50 m
Georgia	4 m	2.55 m (3)	12 m	20 m	20 m
Germany	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Greece	4 m	2.55 m	12 m	18.75 m	16.50 m
Hungary	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Iceland	4.20 m	2.55 m (3)	12 m	22 m	18.75 m
Ireland	4.65 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m (7)	16.50 m
Italy (2)	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Latvia	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Liechtenstein	4 m	2.55 m	12 m	18.75 m	16.50 m
Lithuania	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m (4)	16.50 m
Luxembourg	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Malta	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Moldova	4 m	2.50 m	12 m	20 m	16.50 m
Montenegro	4 m	2.50	12 m	18 m	16.50 m
Netherlands (8)	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Norway	not defined	2.55 m (3)	12 m	19.50 m	17.50 m
Poland	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Portugal (2)	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Romania	4 m	2.55 m	12 m	18.75 m	16.50 m
Russia	4 m	2.55 m (3)	12 m	20 m	20 m
Serbia	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Slovakia	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Slovenia	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Spain	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Sweden	not defined	2.55 m (3)	24 m (5)	24 m (5)	25.25 m
Switzerland	4 m	2.65 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Turkey	4 m	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m
Ukraine	4 m (9)	2.60 m	22 m	22 m	22 m
United Kingdom	not defined	2.55 m (3)	12 m	18.75 m	16.50 m

ავტოსატრანსპორტო საშუალებების მაქსიმალურად დასაშვები მაქსიმალურად დასაშვები წონები (მასები)
ECMT-ს ქვეყნებში განისაზღვება

PERMISSIBLE MAXIMUM WEIGHTS OF TRUCKS IN EUROPE (in tonnes)							
Country	Weight per non-drive axle	Weight per drive axle	Lorry 2 axles	Lorry 3 axles	Road Train 4 axles	Road Train 5 axles and +	Articulated Vehicle 5 axles and +
Albania	10	11.5 (3)	18	26 (2)	36	40	44
Armenia	10	10	18	22	36 (19)	36 (19)	36 (19)
Austria	10	11.5	18	26	36	40	40
Azerbaijan	10	10	18	24	36	42	44
Belarus	10	10/11.5	18/20	25	38/40	40/42	42/44
Belgium	10	12	19	26	39	44	44 (1)
Bosnia-Herzegovina	10	11.5	19	26	38	40	40
Bulgaria	10	11.5	18	26 (2)	36	40	40
Croatia	10	11.5	18	24	36	40	40
Czech Republic	10	11.5	18	26 (2)	36	44 (2)	42/48
Denmark	10	11.5 (3)	18	26 (2,3)	38	42/48	42/48
Estonia	10	11.5	18	26 (2)	36 (4)	40 (5)	40
Finland (6)	10	11.5	18	26 (2)	36	44/60 (7)	42/48
France	13	13	19	26	38	40	40
FYROM	10	11.5	18	24	31	40	40
Georgia	10	11.5			44	44	44
Germany	10	11.5	18	26 (2)	36	40	40
Greece	7/10	13	19	26	33	40	40
Hungary	10	11.5	18	25	30	40	40/44 (8)
Iceland	10	11.5	18	26 (2)	36	40	44
Ireland	10	11.5 (9)	18	26 (2)	36	44 (2)	44 (2)
Italy	12	12	18	26 (2)	40	44	44
Latvia	10	11.5	18	26 (2)	40	40	40
Liechtenstein	10	11.5	18	26	36	40	40
Lithuania	10	11.5	18	26 (2)	36	40	40/44 (10)
Luxembourg	10	12 (11)	19	26	44	44	44
Malta	10	11.5	18	25	36	40	40/44 (8)
Moldova	10	10	18	24	36	40	40
Montenegro	10		16	24	36	40	40
Netherlands (12)	10	11.5	21.5	33	40	50	50
Norway	10	11.5	19	26	37	42	44
Poland	10	11.5	18	26 (2)	36	40	40
Portugal (4)	10	12	19	26	37	40	40
Romania	10	11.5	18	26	36	40	40
Russia	10	10	18	25 (2)	36	38	38
Serbia	10	11.5	18	26	32	40	40
Slovakia	10	11.5	18	26 (2)	36	40	40
Slovenia	10	11.5	18	26 (2)	36	40	40
Spain	10	11.5	18	26	36	40	44 (13) / 42 (14)
Sweden	10	11.5	18	26 (2)	38	48/60 (10)	48/60 (10)
Switzerland	10	11.5	18	26 (2)	36	40	40
Turkey	10	11.5	18	26/26 (16)	36	40	40/44 (10)
Ukraine	11	11	16 (17)	22 (17)	38 (17)	38 (17)	38 (17)
United Kingdom	10	11.5	18	26 (2)	36	40 (18)	40 / 44 (10, 18)

სეგმენტი 2 ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაბარიტების და წონისა (მასის) მარეგულირებელ წესები

მინიმალური მოთხოვნები ავტომატარებლების მიმართ ევროკავშირის ქვეყნებში შესასვლელად

- ევრო 3 და მეტი ეკოლოგიურობის კლასი (ზოგიერთ ქვეყანაში დასაშვების ევრო 2-ც)
- ტაქოგრაფით აღჭურვა (15.06.2010 -ს შემდგომ გამოშვებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები მხოლოდ ციფრული ტაქოგრაფებით უნდა იყოს აღჭურვილი).
- საწვეარის და მისაბმელის ყველა ხიდის აღჭურვა ABS-თ.
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების დასაშვები გაბარიტების და წონების შესაბამისობა 96/53/EC დირექტივასთან



სეგმენტი 3. ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება

საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვარის №30 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის - "ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები, რომლებთან შესაბამისობის დადგენის მიზნითაც ტარდება გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება და მისი ჩატარების მეთოდები"-ს შესაბამისად, ხოლო მისი ჩატარების საფუძვლები მოცემულია 2013 წლის 24 დეკემბრის N1830-რს საქართველოს კანონით „საგზაო მოძრაობის შესახებ“.

ამასთანავე აღნიშნული საკითხები ახლო მომავალში უნდა დარეგულირდეს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 6 მაისის დირექტივა 2009/40/EC "ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების შესახებ" მიხედვით საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ დადებული შეთანხმების შესაბამისად.

3.1 ტესტირების ძირითადი პროცედურებია:

- ❖ სამუხრუჭო სისტემის შემოწმება
- ❖ საჭით მართვის სისტემის შემოწმება
- ❖ ხილვადობის შემოწმება
- ❖ გარე მამუქი ხელსაწყოების, განათების მოწყობილობების და შუქამრეკლების შემოწმება
- ❖ საბურავების, თვლების, ღერძების და დაკიდების შემოწმება
- ❖ ძარის, ძარის ელემენტების და სამაგრების და კაბინის შემოწმება
- ❖ ავტოსატრანსპორტო საშუალებების კომპლექტაციის შემოწმება
- ❖ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის შემოწმება


3.2 დირექტივები, რომლებიც არეგულირებენ ეკოლოგიურობის სტანდარტებს:

- ევრო 2-ის სტანდარტებს არეგულირებს შემდეგი დირექტივები:
სამგზავრო ავტომობილები - 94/12/EC (& 96/69/EC), აგრეთვე 2002/51/EC და ევროსაბჭოს 72/306/EEC დირექტივა;
- ევრო 3-ის სტანდარტებს არეგულირებს შემდეგი დირექტივები:
ყველა ტიპის ავტომობილებისთვის 98/69/EC და 2002/51/EC და ევროსაბჭოს 72/306/EEC დირექტივა;
- ევრო 4-ის სტანდარტებს არეგულირებს შემდეგი დირექტივები:
ყველა ტიპის ავტომობილებისთვის 98/69/EC ,2002/80/EC და ევროსაბჭოს 72/306/EEC დირექტივა;
- ევრო 5-ის სტანდარტები და ევრო-6-ის სტანდარტები:
მსუბუქი, სამგზავრო ავტომობილებისა და კომერციული ავტომობილებისთვის დირექტივა - 715/2007/EC;

გამონაბოლქვის ნორმები

EC დირექტივები და გაეროს წესები	გამონაბოლქვის, გ/კვტ სთ			
	CO	CH	NO _x	მყარი ნაწილაკები (კვამლიანობა)
გაეროს წესი 49- (1982)	14,0	3,5	18,0	—
დირექტივა 88/77 EC - გაეროს წესი 49-01	11,2	2,4	14,4	-
«Euro-1» (1993 წ-დან)	4,5	1,1	8,0	0,36
«Euro-2» (1996 წ-დან)	4,0	1,1	7,0	0,15
«Euro-3» (1.10.2001 წ-დან)	2,0	0,6	5,0	0,1
«Euro-4» (01.10.2005 წ-დან)	1,5	0,5	3,5	0,1
«Euro-5» (01.10.2008 წ-დან)	1,0	0,5	2	0,1
«Euro-6» (27.01.2013 წ-დან)	1,0	0,1	0,06	0,005

3.3 ECMT-ს მრავალმხრივი ნებართვებით მოძრავ ასს-ზე მისაწებელი ამოსაცნობების ნიმუშები



სეგმენტი 3. ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება

3.4 გამონაბოლქვის ნორმები ბენზინის ძრავებისათვის



ასს-ს კატეგორია	ძრავის ბრუნვის სიხშირე	ნახშირჟანგი CO %
M ₂ , M ₃ , N ₂ და N ₃ , კატალიზური კონვერტორის გარეშე	< 900 ბრ/წთ > 2000 ბრ/წთ	3,5 (4,5 1986წ-მდე გამოშვებულისათვის) 2,0
M ₂ , M ₃ , N ₂ და N ₃ , კატალიზური კონვერტორით	< 900 ბრ/წთ > 2000 ბრ/წთ	0,5 0,3



3.5 გამონაბოლქვის ნორმები დიზელის ძრავებისათვის

ასს-ს კატეგორია	ძრავის ზეთის ტემპერატურა	შთანთქმის კოეფიციენტი
M ₂ , M ₃ , N ₂ და N ₃ , ტურბო ჩაბერვის გარეშე	> 80°	2,5
M ₂ , M ₃ , N ₂ და N ₃ , ტურბო ჩაბერვით	> 80°	3,5
M ₂ , M ₃ , N ₂ და N ₃ 1980 წლამდე გამოშვებული	–	არ მოწმდება

3.6 საბურავის პროტექტორის სიმაღლე

- სატვირთო ავტომობილებისათვის - 1 მმ;
- ავტობუსებისათვის - 2 მმ;
- მსუბუქი ავტომობილებისათვის - 1,6 მმ;
- სახელმწიფო დაცვის მსუბუქი ავტომობილებისათვის - 3 მმ



სემენტი 3. ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება

საბურავების სწორი ექსპლუატაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათი დატვირთვის ინდექსს.



ნახაზზე მოცემული შემთხვევისათვის შეადგენს 82-ს (შავ წრეში) და იგი შეესაბამება 475 კგ-ს



ინდექსი	დატვირთვა, კგ	ინდექსი	დატვირთვა, კგ
71	345	86	530
72	355	87	545
73	365	88	560
74	375	89	580
75	387	90	600
76	400	91	615
77	412	92	630
78	425	93	650
79	437	94	670
80	450	95	690
81	462	96	710
82	475	97	730
83	487	98	750
84	500	99	775
85	515	100	800

საბურავების სწორი ექსპლუატაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათი სიჩქარის ინდექსს.


ნახაზზე მოცემული შემთხვევისათვის იგი შეადგენს (წითელ წრეში T) - 190 კმ/სთ



საბურავების სწორი ექსპლუატაციისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მათი გამოშვების თარიღს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გამოყენების ვადა. დამამზადებელი ფირმების რეკომენდაციით ცნობილი ფირმების პროდუქციის ვადა შეადგენს 8-10 წელს, ხოლო დანარჩენების 5-6 წელს.

საბურავების გამოშვების თარიღის მარკირება ხდება შემდეგი 4 ციფრის მიხედვით:

ნახაზზე მოცემული შემთხვევისათვის: საბურავის გამოშვების კვირაა პირველი 2 ციფრი და იგი არის მე-18 (წელიწადში 52 კვირის გათვალისწინებით), ხოლო გამოშვების წელია ბოლო 2 ციფრი და იგი არის 2005 (05)



სეგმენტი 3. ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება

სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების პერიოდულობა მოცემულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №37 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტში „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების პერიოდულობა“

3.7 ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობის გავლის პერიოდულობა


ავტოსატრანსპორტო საშუალებების კატეგორიები	ავტოსატრანსპორტო საშუალების დანიშნულება და მახასიათებლები	ავტოსატრანსპორტო საშუალების ტესტირების პერიოდულობა
M₂ M₃	8-ზე მეტი დასაჯდომი ადგილის (მძღოლის ადგილის გარდა) მქონე, მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი, ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებები:	ერთი წლის შემდეგ პირველად გამოყენების თარიღიდან და შემდეგ ყოველ წელიწადს, ხოლო ოთხი წლის შემდეგ პირველად გამოყენების თარიღიდან წელიწადში ორჯერ
N₂ N₃	3500 კგ-ზე მეტი ნებადართული მაქსიმალური მასის მქონე, ტვირთის გადასაზიდვად განკუთვნილი, ძრავიანი ავს-ები:	ერთი წლის შემდეგ პირველად გამოყენების თარიღიდან და შემდეგ ყოველ წელიწადს.
O₃ O₄	3500 კგ-ზე მეტი ნებადართული მაქსიმალური მასის მქონე მისაბმელები და ნახევრად მისაბმელები:	ერთი წლის შემდეგ პირველად გამოყენების თარიღიდან და შემდეგ ყოველ წელიწადს.
M₁	ტაქსები, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ერთი წლის შემდეგ პირველად გამოყენების თარიღიდან და შემდეგ ყოველ წელიწადს.
N₁	არაუმეტეს 3500 კგ-ზე ნებადართული მაქსიმალური მასის და არანაკლებ ოთხი თვლის მქონე, ტვირთის გადასაზიდვად განკუთვნილი, ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ოთხი წლის შემდეგ პირველად გამოყენების თარიღიდან და შემდეგ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ
M₁	არაუმეტეს 8 დასაჯდომი ადგილის (მძღოლის ადგილის გარდა) და არანაკლებ ოთხი თვლის მქონე, მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი, ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ოთხი წლის შემდეგ პირველად გამოყენების თარიღიდან და შემდეგ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ

სვემენტი 3. ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება

3.8 გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების ფირნიშები

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №30 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები, რომლებთან შესაბამისობის დადგენის მიზნითაც ტარდება გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება და მისი ჩატარების მეთოდები“ შესაბამისად ჩატარებული გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების შედეგად გაიცემა ავტოსატრანსპორტო საშუალების ტესტირების ბარათი, რომელსაც აესებს ტესტირების ცენტრი და ასევე ფირნიში, რომელიც გაიცემა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №6 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების ფირნიშების ფორმისა და დამზადების წესი“ -ს შესაბამისად

ფირნიშის ფორმა, რომელიც იკვრება ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქარე მინის ქვედა მარცხენა კუთხეში





სეგმენტი 3. ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება

3.9 საწვავის მახასიათებლები და ნორმები საქართველოში

საწვავის მახასიათებლებს და ნორმებს საქართველოში განსაზღვრავს:

2004 წლის 31 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N124 დადგენილება საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების შესახებ

ბენზინის ტიპებია:

- რეგულარი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 91;
- პრემიუმი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 95;
- სუპერი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 98.

ბენზინის ეკოლოგიური მახასიათებლებია:

- ტვინის შემცველობა – არა უმეტეს 0,005 გ/ლ;
- ბენზოლის მოცულობითი წილი – არა უმეტეს 3 %;
- არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არა უმეტეს 42%;
- გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 150 მგ/კგ.

2005 წლის 28 დეკემბერი საქართველოს მთავრობის N238 დადგენილება

დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ

დიზელის საწვავის ხარისხობრივი და ეკოლოგიური მახასიათებლებია:

- ცეტანის რიცხვი – არანაკლებ 48;
- გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 200 მგ/კგ;
- სიმკვრივე 150C – არა უმეტეს 845 კგ/მ³;
- პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების მასური წილი – არა უმეტეს 11%.

3.10 ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისი

საქართველოში ძალაშია ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისის წესი, რომელიც ადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისის სახეობებისა და ტექნიკური მომსახურების სამუშაოთა წესსას, მათი ჩატარების პერიოდულობას, პირობებსა და პროცედურებს, მოთხოვნებს საქართველოში რეგისტრირებული სერვისის საწარმოს მიმართ.

ოგი დამტკიცებულია როგორც ტექნიკური რეგლამენტი: „ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისის წესი“ 2014 წლის 3 იანვრის საქართველოს მთავრობის №12 დადგენილებით.

წესის მიზანია უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის სტაბილური შესაბამისობა დამამზადებლის მიერ დადგენილ და/ან საქართველოს კანონმდებლობით მიღებულ ნორმებთან ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში.



სემინტი 3. ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება

ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისის ჩატარების პერიოდულობა განისაზღვრება ავტოსატრანსპორტო საშუალებების დამამზადებელი ფირმის ინსტრუქციის შესაბამისად.

თუ ასეთი არ მოიძებნა, მაშინ

2014 წლის 3 იანვრის საქართველოს მთავრობის №12 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისის წესი“-ს შესაბამისად

იგი შეიძლება იყოს: წინასარეისო,

საკონტროლო -გამაფრთხილებელი,

სრული ინსპექტირება,

სეზონური.

სეგმენტი 4. არაგაბარიტული და ზენორმატიული სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია

4.1 არაგაბარიტულად და ზენორმატიული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის მარეგლამენტირებელი დოკუმენტები

აღნიშნული საკითხები რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 ივლისის №459 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით:



„გზაზე არაგაბარიტული (მსხვილგაბარიტაანი) ან ზენორმატიული (მძიმეწონიანი) სატრანსპორტო საშუალების სამომხრად დაშვებისათვის უფლებამოსილ ორგანოსთან (უწყებასთან) შეთანხმების წესი და პირობები“

4.2 არაგაბარიტულად ითვლება ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლის შემდეგი ზომებიდან ერთ-ერთი მაინც აღემატება:

- ❖ სიმაღლე (სავალი ნაწილის ზედაპირიდან) - ავტომობილის ან კონტეინერის გადაზიდვის შემთხვევაში - 4,30 მეტრს, ყველა სხვა შემთხვევაში - 4 მეტრს;
- ❖ სიგანე - რეფრიგერატორის შემთხვევაში - 2,60 მეტრს, ყველა სხვა შემთხვევაში - 2,55 მეტრს;
- ❖ სიგრძე - ავტომატარებლის შემთხვევაში - 20 მეტრს, ყველა სხვა შემთხვევაში - 12 მეტრს, ან თუ ტვირთი სატრანსპორტო საშუალების უკანა გაბარიტის წერტილიდან 2 მეტრზე მეტადაა გამოშვებული.

ზენორმატიულად (მძიმეწონიანად) ითვლება ისეთი სატრანსპორტო საშუალება, რომლის:

- ❖ თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 10 ტონას (გარდა ერთწამყვანღერძიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის წამყვან ღერზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონას) ან/და ფაქტობრივი მასა აღემატება 44 ტონას ან/და ფაქტობრივი მასა აღემატება ნებადართულ მაქსიმალურ მასას.

არაგაბარიტული ტვირთები



4.3 სატრანსპორტო საშუალებები ზენორმატიული და არაგაზარითული ტვირთების გადასაზიდად



სემენტი 5. ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარე

5.1. ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის მარეგლამენტირებელი დოკუმენტები

საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარეები რეგლამენტირებულია 2013 წლის 24 დეკემბრის N1830-რს საქართველოს კანონით „საგზაო მოძრაობის შესახებ“. ამ კანონის 33-ე მუხლის თანახმად:

5.2. სიჩქარის ლიმიტები:

ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპი	სატვირთო	სამგზავრო	მსუბუქი
სავტომობილო გზებზე, კმ/სთ	70	70	90
ავტომაგისტრალზე, კმ/სთ	80	80	110
დასახლებულ პუნქტებში, კმ/სთ	60	60	60
საცხოვრებელ ზონაში, კმ/სთ	20	20	20

საქართველოს კანონმდებლობით დასაშვებია სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-მდე

5.3. კონკრეტული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის სიჩქარის ლიმიტის აღმნიშვნელი დამატებითი ნიშნები:



საერთაშორისო გადაზიდვებში ჩართული გარკვეული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების გზებზე გამოყენებისათვის მაქსიმალური დასაშვები სიჩქარეების უზრუნველყოფის მიზნით სავალდებულოა სიჩქარის შემზღვეველი მოწყობილობების დაყენება, რომელსაც ითვალისწინებს საბჭოს 1992 წლის 10 თებერვლის დირექტივა N 92/6/EEC „ევროპული გაერთიანების ფარგლებში გარკვეული კატეგორიის მრავიან სატრანსპორტო საშუალებებში სიჩქარის შემზღვეველი მოწყობილობების მონტაჟისა და გამოყენების შესახებ“.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ დადებული შეთანხმების შესაბამისად.

ამ დირექტივის მიხედვით სატვირთო ავტომობილებისათვის მაქსიმალური სიჩქარის ლიმიტია 90 კმ/სთ, ხოლო ავტობუსებისათვის - 100 კმ/სთ.

სეგმენტი 6. მძღოლთა შრომისა და დასვენების რეჟიმები

6.1. მძღოლთა საქმიანობის დრო

2011 წლიდან საქართველო მიუერთდა ევროპის შეთანხმებას საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის მწარმოებელი სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟების მუშაობის შესახებ - AETR.

ამ შეთანხმებით რეგლამენტირდება მძღოლთა შრომისა და დასვენების დროები და ამ დროებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ძირითადი პარამეტრების გაზომვისა და მათი აღმრიცხველი საკონტროლო მოწყობილობის - ტაქოგრაფის - მუშაობის მეთოდები.

იმავდროულად საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ დადებული ხელშეკრულების თანახმად აღნიშნული საკითხები რეგულირდება ასევე:

1. ეროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 15 მარტის რეგლამენტით (EC) №561/2006 „საგზაო გადაზიდვებთან დაკავშირებული განსაზღვრული სოციალური კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ, რომლის მიხედვითაც შედის ცვლილებები საბჭოს რეგლამენტებში (EEC) №3821/85 და (EC) №2135/98 და უქმდება რეგლამენტი (EEC) №3820/85“
2. ევროსაბჭოს 1985 წლის 20 დეკემბრის № 3821/85 რეგლამენტით „საკონტროლო მოწყობილობის შესახებ საგზაო ტრანსპორტის სფეროში“.
3. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 11 მარტის დირექტივით № 2002/15/EC „საავტომობილო გადაზიდვების მწარმოებელი პირების სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ“.

ამ საკითხების დეტალური განხილვა მოცემულია 2015 წელს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გამოცემულ სახელმძღვანელო დოკუმენტში: „მძღოლთა შრომისა და დასვენების რეჟიმები და მათი აღმრიცხველი საკონტროლო მოწყობილობა - ტაქოგრაფი“

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №209 განკარგულებით დამტკიცდა "საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის მწარმოებელი სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟების მუშაობის შესახებ" ევროპის შეთანხმების (AETR) საქართველოში იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა.

ამ შეთანხმებით დადგენილი პირობები ვრცელდება როგორც ანალოგურ (ე.წ. „შაიბიან“), ისე ციფრულ ტაქოგრაფებზე.

ჩვეულებრივი ანალოგური ტაქოგრაფების ნაცვლად ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებები 2004 წლის მეორე ნახევრიდან უკვე აღჭურვილია ციფრული ტაქოგრაფებით, რომელთათვისაც აუცილებელია მძღოლთა პირადი ელექტრონული ბარათები. ქვეყანას ამ ბარათების დამზადებისა და გამოყენების უფლებას მხოლოდ AETR-თან მიერთება აძლევს, რადგან ბარათისათვის, ისევე როგორც ტაქოგრაფისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო, განმასხვავებელი ნომერი ქვეყანას ამ შემთხვევაში ენიჭება (გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ საქართველოს მიენიჭა განმასხვავებელი ნომერი E-60).

AETR-ს გამოყენების სფერო

1. შეთანხმება AETR გამოიყენება თითოეული ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ყველა საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის მიმართ, რომელსაც ახორციელებს ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალება, რეგისტრირებული ზემოსხენებული ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ან სხვა ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე.
2. თუმცა, თუკი ხელშემკვრელი მხარეები, რომელთა ტერიტორიაზეც ხორციელდება მიმოსვლა, არ შეთანხმდებიან საპირისპიროს შესახებ, წინამდებარე შეთანხმება არ გამოიყენება საერთაშორისო საავტომობილო ტვირთზიდვის მიმართ, რომელიც სრულდება:

- ა) სატრანსპორტო საშუალებათა მიერ, რომლებიც გამოიყენება ტვირთის გადასაზიდად და რომელთა ნებადართული მაქსიმალური მასა, მისაბმელებისა და ნახევარმისაბმელების მასის ჩათვლით, არ აღემატება 3,5 ტონას;

სებმენტი 6. მძღოლთა შრომისა და დასვენების რეჟიმები

ბ) სატრანსპორტო საშუალებათა მიერ, რომლებიც გამოიყენება მგზავრთა გადასაყვანად და რომლებსაც თავიანთი კონსტრუქციისა და აღჭურვილობის გამო შეუძლიათ გადაიყვანონ არა უმეტეს ცხრა კაცისა, მათ შორის მძღოლის ჩათვლით, და განკუთვნილია ამ მიზნისათვის;

ც) სატრანსპორტო საშუალებათა მიერ, რომლებიც გამოიყენება მგზავრთა გადასაყვანად რეგულარულ ხაზებზე, რომელთა სიგრძეც არ აღემატება 50 კმ;

დ) სატრანსპორტო საშუალებათა მიერ, რომელთა მაქსიმალური ნებადართული სიჩქარეც არ აღემატება 40კმ/სთ;

ე) სატრანსპორტო საშუალებათა მიერ, რომლებიც იმყოფება შეიარაღებული ძალების, სამოქალაქო თავდაცვის ორგანოების, სახანძრო სამსახურის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ძალების საკუთრებაში ან მათ მიერ მძღოლის გარეშეა დაქირავებული, როდესაც გადაზიდვა ხორციელდება ამ სამსახურებზე დაკისრებული ამოცანების შესრულების ფარგლებში, ან მათი კონტროლით;

ფ) სატრანსპორტო საშუალებათა მიერ, რომლებიც გამოიყენება საგანგებო ვითარებაში ან სამაშველო ოპერაციების მსვლელობისას, მათ შორის ჰუმანიტარული ტვირთის არაკომერციული გადატანისას;

გ) სპეციალური სატრანსპორტო საშუალებების მიერ, რომლებიც გამოიყენება სამედიცინო მიზნებით;

ჰ) სპეციალურ საავარიო სატრანსპორტო საშუალებათა მიერ, რომელთა ექსპლუატაციაც წარმოებს მათი მიწერის პუნქტიდან 100 კმ ფარგლებში;

ი) სატრანსპორტო საშუალებათა მიერ, რომლებიც გადის საგზაო გამოცდებს ტექნიკის სრულყოფის, რემონტის ან მომსახურების მიზნით, და ახალი ან ხელახლა აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალებების მიერ, რომლებიც ჯერ კიდევ არ ჩაუბარებიათ საექსპლუატაციოდ;

კ) სატრანსპორტო საშუალებათა მიერ, რომელთა ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 7,5 ტონას და რომლებიც გამოიყენება ტვირთის არაკომერციული გადაზიდვისათვის;

ლ) კომერციული სატრანსპორტო საშუალებების მიერ, რომლებსაც აქვთ ისტორიული სტატუსი იმ ხელშემკვერელი მხარის კანონმდებლობის მიხედვით, სადაც წარმოებს მათი ექსპლუატაცია, და რომლებიც გამოიყენება არაკომერციული მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვისთვის.

6.2. საქმიანობის დროების კლასიფიკაცია



N	საქმიანობის დროები	პირობითი აღნიშვნის სიმბოლოები (პიქტოგრამები)	
		ანალოგული ტაქოგრაფისათვის	ციფრული ტაქოგრაფისათვის
1	მართვის ხანგრძლივობა		
2	შესვენებები და დასვენებები		
3	რეზერვში ყოფნა		
4	მუშაობის სხვა პერიოდი		

სეგმენტი 6. მძღოლთა შრომისა და დასვენების რეჟიმები

მართვის პერიოდი

N	მართვის პერიოდი	ხანგრძლივობა, არა უმეტეს	შენიშვნა
1	უწყვეტად მართვის პერიოდი	4,5 სთ	-
2	მართვის საერთო ჯამური ხანგრძლივობა ყოველი ორი თანმიმდევრული კვირის განმავლობაში	90 სთ	-
3	მართვის მაქსიმალური ხანგრძლივობა ერთ კვირაში	56 სთ	-
4	მართვის ყოველდღიური ხანგრძლივობა	9 სთ	დასაშვებია კვირაში ორჯერ 10 სთ

დასვენების (შესვენების) პერიოდი

N	დასვენების (შესვენების) პერიოდი	ხანგრძლივობა, არა ნაკლებ	შენიშვნა
1	შესვენება	45 წთ	შესაძლებელია 15 წთ+30 წთ
2	ყოველდღიური დასვენება ერთი მძღოლის შემთხვევაში	11 სთ ყოველ 24 სთ-ში	შესაძლებელია 3 სთ+9 სთ; დასაშვებია 9 სთ კვირაში 3-ჯერ
3	ყოველდღიური დასვენება ორი მძღოლის შემთხვევაში	9 სთ ყოველ 30 სთ-ში	-
4	ყოველკვირეული დასვენება	45 სთ, მიმდევრობით	დასაშვებია 24 სთ, შემდგომი 2 კვირის განმავლობაში კომპენსაციით

რეზერვში ყოფნის დრო - სამუშაო ადგილზე ყოფნის სხვა პერიოდი არის:

1. ლოდინის დრო, ანუ პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მძღოლები ვალდებული არ არიან იმყოფებოდნენ თავიანთ სამუშაო ადგილზე მართვის დაწყების ან განახლების, ანდა სხვა სამუშაოს შესრულების სიგნალებზე რეაგირებისათვის;
2. სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის პროცესში მძღოლის გვერდით გატარებული დრო;
3. სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის პროცესში საძინებელ ადგილზე გატარებული დრო;

მუშაობის სხვა პერიოდი არის:

მძღოლის საქმიანობის ნებისმიერი სხვა სახეობა, გარდა AETR-თ გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისა, რომელზედაც ვრცელდება AETR-თ გათვალისწინებული პირობები:

6.3. საწარმოს (გადამზიდეველის) მიერ განხორციელებული კონტროლი

1. საწარმომ იმგვარად უნდა მოაგვაროს საავტომობილო მიმოსვლა და სათანადო ინსტრუქცია ჩაუტაროს ეკიპაჟის წევრებს, რომ მათ შეძლონ წინამდებარე შეთანხმების დებულებათა დაცვა.
2. იგი მუდმივად უნდა აკონტროლებდეს მართვის დროს, სხვა სამუშაოს საათებს და დასვენების დროს, რისთვისაც უნდა იყენებდეს მის განკარგულებაში არსებულ ყველა დოკუმენტს, ისეთებს, როგორცაა პირადი საკონტროლო წიგნაკი. წინამდებარე შეთანხმების დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ უნდა აღმოფხვრიდეს მათ და იღებდეს ზომებს, რათა აღკვეთოს მათი გამოწვევა მომავალში, მაგალითად, მუშაობისა და მარშრუტების გრაფიკების შეცვლის გზით.
3. დაქირავებით მომუშავე მძღოლებისათვის ანაზღაურების გადახდა, თუნდაც ეს ხორციელდებოდა პრემიების ან ხელფასის დანამატების ფორმით, განვილილ მანძილთან და/ან გადაზიდული ტვირტის მოცულობასთან დაკავშირებით, აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი გადახდა საფრთხეს არ უქმნის საგზაო მოძრაობას და ხელს არ უწყობს შეთანხმება AETR-ს დარღვევას.
4. სატრანსპორტო საწარმო პასუხისმგებელია ამ საწარმოს მძღოლების მიერ დაშვებულ დარღვევებზე

სეგმენტი 7. ტვირთების დატვირთვა-გადმოტვირთვა და ტვირთების დამაგრება

7.1. ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ტვირთების დატვირთვა-გადმოტვირთვა

ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ტვირთების დატვირთვა-გადმოტვირთვა ძირითადად ხორციელდება სპეციალური ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ისე რომ არ მოხდეს ტვირთის დაზიანება.

ქვემოთ ნაჩვენებია დატვირთვა-გადმოტვირთვის მეთოდის რამდენიმე მაგალითი და ამ დროს გამოყენებული ტექნიკური საშუალებები



აუცილებელია განისაზღვროს ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაძლებლობა ტვირთების მოსათავსებლად და დასამაგრებლად, ასევე მის მოხერხებულად ჩატვირთვა-გადმოტვირთვისათვის



სეგმენტი 7. ტვირთების დატვირთვა-გადმოტვირთვა და ტვირთების დამაგრება

არაგაბარიტული და ზენორმატიული ტვირთების შემთხვევაში გამოიყენება შესაბამისი გაზრდილი ტვირთამწეობის ტექნიკური საშუალებები



7.2. ტვირთების დამაგრება

აღნიშნული წესები არ ვრცელდება სპეციალური დანიშნულების, არაგაბარიტული და ზენორმატიული ტვირთების გადასაზიდ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე

ტვირთების არასათანადოდ დამაგრებასთან დაკავშირებული რისკები



სეგმენტი 7. ტვირთების დატვირთვა-გადმოტვირთვა და ტვირთების დამაგრება

დასამაგრებელი ტვირთების შეიძლება იყოს შემდეგი ტიპების:


- მსხვრევადი ნივთები
- ცოცხალი საქონელი
- მბიმე ლითონები
- სახიფათო ტვირთები
- მალფუჭებადი ტვირთები
- დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტვირთების წონის, შეფუთვის სახეობის და სიმძიმის ცენტრის განსაზღვრას



7.3. ტვირთის მიერ წარმოშობილი ძალები, რომლებიც მოქმედებენ ავტომობილზე

- გრძივი ძალა წინ მიმართული - 0,8 G
- გრძივი ძალა უკან მიმართული - 0,5 G
- განივი ძალები - 0,5 G

G - ტვირთის წონა (მასა)



7.4. ტვირთის დამაგრების და ბლოკირების საშუალებებია

- დამჭიმავი ქაზრები და სამაგრი ბადე
- დამჭიმავი ჯაჭვი
- განმაცალკეველები შტანგები და მახლოკირებელი სადებები
- საჰაერო პაკეტები „AirBag“
- დასამაგრებელი ელემენტები: კვანძები, კაკეები და სხვ

ტვირთების დასამაგრებლად გამოიყენება:


გრძივი დამჭიმავი ქაზარი



წრიული დამჭიმავი ქაზარი



7.5. ასს-ზე ტვირთების ტვირთის თანაბარი განაწილება



ტვირთების დამაგრებისას საჭიროა მენეჯერმა სწორად განსაზღვროს ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაძლებლობა და ტვირთების თანაბარი განაწილება ასს-ზე



ერთი წამყვანი ხიდი



ამყალი ხიდების ურიკა



- ✓ წინა ამყალი ხიდიზე გადატვირთვა იწვევს დამუხრუჭების და მართვადობის მკვეთრ გაუარესებას
- ✓ უკანა წამყვანი ხიდზე გადატვირთვა იწვევს მართვადობის მკვეთრ გაუარესებას
- ✓ მისაბმელის ხიდებზე გადატვირთვა იწვევს წევის, დამუხრუჭების, მართვადობის და მდგრადობის მკვეთრ გაუარესებას


სეგმენტი 7. ტვირთების დატვირთვა-გადმოტვირთვა და ტვირთების დამაგრება

7.6. ასს-ზე ტვირთების განლაგებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი პირობები

ამ შემთხვევაში ტვირთი განაწილებულია სწორად და ხიდებზე მოდის შესაბამისი დასაშვები დატვირთვები, რომელსაც ითვალისწინებს მისი დამამზადებელი ფირმა ავტოსატრანსპორტო საშუალების შეთანწყობის გაანგარიშების საფუძველზე



ნახაზზე მოცემულ შემთხვევაში ტვირთი განაწილებულია არასწორად და ხიდებზე მოდის არათანაბარი დატვირთვები, კონკრეტულად, წინა ხიდზე ისევე, როგორც საწევარის უკანა ხიდებზე, არის გადატვირთვა, ხოლო ნახევრადმისაბმელის უკანა ხიდებზე წარმოიქმნება დატვირთვის ნაკლებობა, რაც გამოიწვევს ჩაჭიდების ძალის შემცირებას. შედეგები იქნება ორმაგად უარყოფითი.




ასს-ზე ტვირთების განლაგებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

- უფრო მძიმე ტვირთები განლაგებული უნდა იყოს პლატფორმის სიმეტრიის გრძივ ღერძთან ახლოს, ხოლო უფრო მსუბუქები - ბორტებთან ახლოს.
- უფრო დიდი და მძიმე ტვირთები უნდა განლაგდეს იატაკთან ახლოს და პლატფორმის შუაში, რომ მდგრადობის ამაღლების მიზნით სიმძიმის ცენტრი იყოს რაც შეიძლება დაბალ სიმაღლეზე
- ტვირთები შეიძლება განლაგდეს ერთ ან რამდენიმე იარუსად

7.7. ტვირთების განლაგების სქემები


ა) ტვირთები შეიძლება განლაგდეს სწორ განივ და გრძივ რიგებად

ა)



ბ) ტვირთები შეიძლება განლაგდეს სწორ განივ რიგებად დაძრული გრძივ რიგში

ბ)



გ) ტვირთები შეიძლება განლაგდეს სწორ გრძივ რიგებად დაძრული განივ რიგში


გ)




7.8. ტვირთების დამაგრების მეთოდები კლასიფიცირდება შემდეგნაირად

- ❖ მიმჭერი (ღველები, ჯაჭვები, ბაგირები და სხვ)
